საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2942
28/06/2022

2942-21-2-202206281440

შპს „მინერსანდ გეორგიას“
მის: ქ. თბილისი, ნაძალადევის რ-ნი, სამღერეთის ქ. №9/24
ელ. ფოსტა: minersand.ge@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №1984 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. სართიჭალას ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოსა და ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი/დაზუსტებული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტის წარმოდგენის საფუძვლად მითითებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტი, თუმცა, საპროექტო ტერიტორიაზე ასევე გათვალისწინებულია ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს სკრინინგის განცხადების წარმოდგენის საფუძველი;
- დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს სამუშაო გრაფიკი და აღნიშნული გრაფიკის გათვალისწინებით წლიურად გადასამუშავებელი (სარეცხი და სამსხვრევი ტექნოლოგიური ხაზი) ნედლეულის მოცულობა;
- წარმოდგენილი უნდა იყოს სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს შემადგენელი ტექნოლოგიური დანადგარების გენ-გეგმა;
- დაზუსტებას საჭიროებს სამსხვრევ ხაზზე გადასამუშავებლად გათვალისწინებული ნედლეულის სახეობა;
- მოცემული უნდა იყოს მდ. არხაშენისხევის ჰიდროლოგიური მახასიათებლები, კერძოდ, მდინარის ჩამონადენის შიდაწლიური განაწილება, წყლის საშუალოწლიური და მინიმალური ხარჯები, ასევე, საწარმოო ობიექტზე მაქსიმალური ჩამონადენის შესაძლო ზეგავლენის რისკები;
- საწარმოს წარმადობისა და სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ზედაპირული წყლის ობიექტიდან ყოველთვიურად ამოღებული წყლის მოცულობის შესახებ (წყალაღების თითოეულ წერტილზე);
- მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო